



შენაბავისთვის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვაგბედიშვილი“

სოციალური სფეროს აუდიტის

დეპარტამენტის უფროსი

 **ზაზა შველიძე**

“18” დეკემბერი 2018 წელი

N 72/36

ვგზ: N:1

ბ(ა)ივ - საქართველოს ქართული ჯიდაობის
ეროვნული ფედერაციის მიერ 2016-2017 წლებში
განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

სარჩევი

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
1. შესავალი	7
1.1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	7
1.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	7
1.3 აუდიტის საგანი.....	8
1.4 აუდიტის მასშტაბი.....	8
1.5 აუდიტის კრიტერიუმები.....	8
1.6 აუდიტის მიზანი.....	9
1.7 ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
2 აუდიტის მიგნებები.....	11
2.1 შეუსაბამობები შრომით კანონმდებლობასთან.....	11
2.2 შესყიდვები.....	16
2.2 ბაზრის კვლევა.....	16
2.3 რეგიონებში განხორციელებული სახელობითი ტურნირების დაფინანსების დუბლირება.....	21
2.4 ე.წ. „წამახალისებელი ვიქტორინა“	23
2.5 შიდა კონტროლის არარსებობა	24

გამოყენებული ტერმინები და შემოკლებანი

სპორტის სამინისტრო – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

მინისტრი – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი

ფედერაცია – ა(ა)იპ – ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

წესდება – ა(ა)იპ – ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის წესდება

ანგარიშსწორების წესი – „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

აუდიტით გამოვლინდა შემდეგი სახის ძირითადი შეუსაბამოებები:

შრომის ანაზღაურება

პერსონალის შერჩევა, სამუშაოზე აყვანა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრა ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ხორციელდება საწესდებო მოთხოვნის შეუსაბამოდ, უფლებამოსილების გადამეტებით და მოცემულ პროცესში არ არის გათვალისწინებული გენერალური მდივნის და პრეზიდენტის საწესდებო როლი (კომპეტენცია);

ფედერაციის მიერ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ არის შედგენილი შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, მათში არ არის მოცემული ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა, შესასრულებელი სამუშაო და სამუშაო აღწერილობები პოზიციების მიხედვით. ეს უკანასკნელი ფედერაციის სხვა ოფიციალური დოკუმენტებითაც არაა განსაზღვრული. შესაბამისად, გაურკვეველია თუ რა სამუშაოს ასრულებს კონკრეტული დასაქმებული პირი, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არაპროდუქტიული განკარგვის რისკებს.

გარკვეულ შემთხვევებში დასაქმებულ პირებთან (მონიტორინგის მენეჯერი, კურატორი) დადებული შრომითი, ხოლო მონიტორინგის მენეჯერთან და ბუღალტერთან გაფორმებული მსაჯობის მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებები ატარებს ფიქტიური გარიგების ნიშნებს, არ დასტურდება მოცემული ხელშეკრულებების ფარგლებში შრომითი საქმიანობის და მომსახურების მიწოდების ფაქტი. ამ ტიპის ხელშეკრულებების ფარგლებში ანაზღაურებულმა თანხამ სულ შეადგინა 37,475 ლარი.

ცალკეული პოზიციის მიხედვით, სახელფასო პოლიტიკა ხასიათდება თანამდებობრივ სარგოებს შორის არსებითად შეუსაბამო, არასამართლიანი დიფერენციაციით, რადგან ის არ არის დამოკიდებული შესასრულებელი სამუშაოს სახეზე, ინტესივობასა და დასაქმებულის კვალიფიკაციაზე.

შესყიდვები

ფედერაციის მიერ არ ხდება განსახორციელებელი სპორტული ღონისძიებების ფარგლებში შესასყიდი საქონლის და მომსახურების ოპტიმალური ფასის, ტექნიკური პარამეტრების და მიწოდების პირობების დადგენის მიზნით ბაზრის კვლევა, რის გარეშეც მიმწოდებელთან (ზოგიერთ შემთხვევაში დაკავშირებულ მხარესთან) გაფორმებული კონტრაქტები ზრდის საბაზრო პირობებისადმი არაადეკვატური ფასის და მიწოდების პირობების ჩამოყალიბების რისკებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს საბიუჯეტო სახსრების არეკონომიურ და არაეფექტიან ხარჯვას.

2016 წლის 15 ნოემბერს ფედერაციასა და სამშენებლო კომპანია შპს „ფალავანს“ შორის გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე, 2016 წლის 15 ნოემბერს „ფალავანობა 2016-ის“ გამარჯვებულზე ბინის გადაცემის მიზნით, შპს „ფალავანს“ გადაერიცხა 54.920 ლარი. ფედერაციის მიერ შესასყიდი უძრავი ქონების ოპტიმალური (საბაზრო ფასის) და მიწოდების პირობების დადგენის მიზნით, ბაზრის კვლევა არ განხორციელებულა. მოცემულ შემთხვევაში აშკარაა ინტერესთა კონფლიქტი, რაც გამოვლინდა შემდეგში: გამყიდველი (შპს „ფალავანი“) და მყიდველი (ფედერაცია) დაკავშირებული მხარეები არიან. კერძოდ, ფედერაციის პრეზიდენტის ახლო ნათესავები (შვილები), რომლებიც შრომით ურთიერთობაში არიან ფედერაციასთან, ამავდროულად წარმოადგენენ შპს „ფალავანის“ დამფუძნებლებს. ინტერესთა კონფლიქტის არსებობამ გავლენა მოახდინა ფედერაციის მიერ შპს „ფალავანთან“ დადებული გარიგების პირობებზე და გამოიწვია საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური, არაეკონომიური ხარჯვა.

რეგიონებში განხორციელებული სახელობითი ტურნირები

რეგიონებში გასამართი სახელობითი შეჯიბრებებისა და ტურნირების ორგანიზება ზოგიერთი მუნიციპალიტეტების მიერ დაფინანსებულია 15,800 ლარით, ხოლო იგივე ღონისძიებები ფედერაციის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, სამინისტროს მიერ დაფინანსებულია 21,345 ლარით. სულ დაფინანსების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 37,145 ლარი. გამოყოფილი თანხებიდან მიზნობრივად გაიხარჯა მხოლოდ 23,860 ლარი, ხოლო 13,285 ლარი გახარჯულია არამიზნობრივად იმ აქტივობების დასაფინანსებლად, რომელიც ხარჯთაღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული.

ე.წ. „წამახალისებელი ვიქტორინა“

ფედერაციის მიერ 2016 წელს გამართული ღონისძიების – „საქართველოს აბსოლუტური ღია ფალანგოზა ქართულ ჭიდაობაში“ – ფარგლებში გამართულ ვიქტორინაში, გამარჯვებულ მაყურებელზე საჩუქრების გადაცემის მიზნით შესყიდულია 4,300 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონის აპარატები. მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებებით არ დასტურდება ვიქტორინის ჩატარება, არ არის განსაზღვრული ვიქტორინის თემატიკა და არ არის შემუშავებული მისი გამართვის და გამარჯვებულის გამოვლენის წესი. ხარჯებში ჩამოწერის აქტებით არ ხდება ვიქტორინაში გამარჯვებული პირების იდენტიფიცირება და შესაბამისად, არ დასტურდება მათზე ტელეფონის აპარატების გადაცემის ფაქტი.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი მიგნებების საპასუხოდ გავეცით შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაცია N1.

სამინისტროს

ფედერაციასთან შეთანხმებული პირობებით შემუშავდეს და ამოქმედდეს ისეთი საკადრო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს საწესდებო საქმიანობის რელევანტური, ოპტიმალური და სამართლიანი საშტატო განრიგის ფორმირებას, სამუშაოზე აყვანის პროცესის გამჭვირვალობას და მოცემულ სფეროში მართვის დემოკრატიული პრინციპის (პრეზიდენტი, გენერალური მდივნის და პრეზიდენტის უფლებამოსილების გამიჯვნა) დაცვაზე ზედამხედველობის გზით საჯარო უფლებამოსილების განხორციელების გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია N2.

ფედერაციას

დასაქმებული პირის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოების სახე ან კონკრეტული თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით შემუშავდეს სამუშაო აღწერილობები.

რეკომენდაცია N3.

ფედერაციას

სპორტული ღონისძიების მასშტაბის, მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობისა და სხვა რელევანტური კრიტერიუმების გათვალისწინებით, განსაზღვრულ იქნეს მსაჯთა ოპტიმალური რაოდენობის და მათი კვალიფიკაციის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს ღონისძიების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას და ამ მიზნით საბიუჯეტო სახსრების ოპტიმალურ და ეფექტიან ხარჯვას.

რეკომენდაცია N4.

სამინისტროს

შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დაფინანსების მოთხოვნის ეტაპზე ფედერაციის მხრიდან წარმოდგენილი ღონისძიებების და მისი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და მოცემული ღონისძიებების ფარგლებში საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური, მიზნობრივი და კანონშესაბამისი ხარჯვის მონიტორინგს.

რეკომენდაცია N5.

ფედერაციას

საბაზრო პირობებისადმი ადეკვატური ხარისხის და ფასის მქონე საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, კონკრეტული შესყიდვის წინ განხორციელდეს ბაზრის გამოკვლევა. ბაზრის კვლევის შედეგებში აღინიშნოს კრიტერიუმები და ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მიხედვით მოხდა კონკრეტული მიმწოდებლის შერჩევა.

რეკომენდაცია N6.

სამინისტროს

საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვის უზრუნველსაყოფად შემუშავებულ იქნეს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც კონკრეტული სპორტული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მოცულობით და სტრუქტურული შემადგენლობის უცვლელობის პირობებში დაადგენს დაფინანსების წყაროების დუბლირების ფაქტს და უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების უკან დაბრუნებას.

1. შესავალი

1.1 ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფედერაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ფედერაციის ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშესაბამობებს.

1.2 აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება – აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ფედერაციის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული

ფინანსური სახსრების ხარჯვითი ოპერაციები არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშესაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

1.3 აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა ა(ა)იპ – საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციების შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან.

1.4 აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა ფედერაციის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული ხარჯვითი ოპერაციები.

1.5 აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

-)/ საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;
-)/ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
-)/ „2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ სპორტის სფეროში განსახორციელებელი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2016 წლის 20 იანვრის N01/83 ბრძანებით დამტკიცებული „2016 წლის ქართული ჭიდაობის მხარდაჭერის პროგრამა“;
-)/ „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ სპორტის სფეროში განსახორციელებელი პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2017 წლის 27 იანვრის N01/137 ბრძანებით დამტკიცებული „2017 წლის ქართული ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა“;

-)/ „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება;
-)/ ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
-)/ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას შორის 2016-2017 წლებში გაფორმებული გრანტის გაცემის შესახებ ხელშეკრულებები;
-)/ ა(ა)იპ – ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის წესდება.

1.6 აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

1.7 ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ა(ა)იპ – საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის საქმიანობის ძირითადი მიზანია საქართველოში ქართული ჭიდაობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია, მაღალკვალიფიციურ სპორტსმენტა მომზადების სისტემის სრულყოფა, საქართველოს ნაკრები გუნდების გამოსვლის უზრუნველყოფა საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებში, სპორტული კლუბების შექმნა, პროფესიონალ სპორტსმენტა მომზადება, მათი საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა, ყველა ღონის ადგილობრივი და საერთაშორისო ჩემპიონატების და ტურნირების ორგანიზება და ჩატარება, მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება, ამ მიზნით სემინარების,

კონფერენციებისა და ღია გაკვეთილების ჩატარება. ქართული ჭიდაობის სპეციალისტების, ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენების, მწვრთნელების და მსაჯების სოციალური ინტერესებისათვის ზრუნვა, ქართული ჭიდაობის წარმოდგენა საქართველოსა და უცხოეთში.

ფედერაციის დაფინანსება ხორციელდება ფედერაციის პრეზიდენტის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის შესაბამისად. ფედერაციის დაფინანსებამ 2016-2017 წლებში შეადგინა 687,426 ლარი. აქედან, სპორტის სამინისტროდან მიღებული დაფინანსება ქართული ჭიდაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის, ოლიმპიური მოძრაობის მხარდამჭერი პროგრამისა და გრანტის სახით შეადგენს 669,701 ლარს, მუნიციპალიტეტებიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებულია 16,150 ლარის დაფინანსება, ხოლო სხვადასხვა კერძო სტრუქტურებიდან მიღებული დაფინანსება შეადგენს 1,575 ლარს.

ცხრილი N1. ინფორმაცია ფედერაციის მიერ მიღებული დაფინანსების შესახებ

დაფინანსების წყარო	2016 წელი	2017 წელი	ჯამი
1	2	3	4
სამინისტრო მათ შორის:	361,765	307,936	669,701
ჭიდაობის მხარდამჭერი პროგრამა	276,898	258,649	535,547
ოლიმპიური პროგრამა	15,000	-	15,000
სახელმწიფო გრანტი	69,867	49,287	119,154
მუნიციპალიტეტები	7,000	9,150	16,150
სხვა სტრუქტურები	1,075	500	1,575
ჯამი:	369,840	317,586	687,426

ცხრილი N2. ინფორმაცია ფედერაციის მიერ გაწეული საკასო ხარჯების შესახებ

	2016 წელი	2017 წელი	სულ
ღონისძიებები			
აბსოლუტური ფალავნობა	167,599	125,958	293,557
შეჯიბრებები და ტურნირები	128,915	96611	225,526
ადმინისტრაციული ხარჯები			
შრომის ანაზღაურება	38,910	35,927	74,837
სხვა ხარჯები	22,284	77,407	99,691
სულ:	357,708	335,903	693,611

2. აუდიტის მიგნებები

2.1 შეუსაბამოებები შრომით კანონმდებლობასთან

შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეული სახის სამუშაოს. შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთ ძირითად არსებით პირობას წარმოადგენს თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე.¹

ფედერაციაში დასაქმებულ პირებზე ხელფასების გაცემის წყაროს წარმოადგენს სპორტის სამინისტროსა და ფედერაციას შორის 2016-2017 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებების² შესაბამისად მიღებული მიზნობრივი გრანტები. აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით, ფედერაციაში დასაქმებული თანამშრომლების სახელფასო ფონდი 2016 წელს შეადგენდა 34, 800 ლარს, 2017 წელს კი – 39,000 ლარს.

წესდების შესაბამისად,³ საშტატო განრიგს და აპარატის კადრებს გენერალური მდივნის წარდგინებით ამტკიცებს ფედერაციის პრეზიდიუმი. მოცემული მოთხოვნის შეუსაბამოდ, საშტატო ერთეულები და სახელფასო განაკვეთები დადგენილია

¹ „შრომის კოდექსის“ მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-6 მუხლის მე-9 პუნქტი.

² სამინისტროსა და ფედერაციას შორის 2016 წლის 11 მარტს და 2017 წლის 4 მაისს გაფორმებული გრანტის გაცემის შესახებ ხელშეკრულებები N 6 კ/გ და N 12 კ/გ.

³ მე-7 მუხლის 7.1 პუნქტი.

არაუფლებამოსილი პირის, ფედერაციის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე.

ცხრილი N3. ფედერაციის საშტატო განრიგი

N	თანამდებობა	2016 წელი		2017 წელი	
		ხელფასი თვეში	წლიური სახელფასო ფონდი	ხელფასი თვეში	წლიური სახელფასო ფონდი
1.	ფედერაციის პრეზიდენტი			1,250	15,000
2.	მონიტორინგის მენეჯერი	1,250	15,000	1,250	15,000
3.	ფედერაციის გენ. მდივანი	185	2,220	750	9,000
4.	ვიცე – პრეზიდენტი	185	2,220	250	3,000
5.	საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი	900	10,800	625	7,500
6.	ბუღალტერი	380	4,560		
7.	კურატორი			375	4,500
	სულ:		34,800		54,000

შესამოწმებელ პერიოდში ფედერაციის ყველაზე მაღალ ანაზღაურებად – მონიტორინგის მენეჯერის პოზიციაზე დასაქმებული იყო პრეზიდენტის ახლო ნათესავი ⁴ რომლის შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში შეადგინა 25,375 ლარი.⁵ შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული არ იყო ე.წ. „მონიტორინგის“ ფარგლებში განსახორციელებელი კონკრეტული საქმიანობა. აუდიტორული პროცედურებით ვერ იქნა მოპოვებული რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა შესამოწმებელ პერიოდში მის მიერ შრომითი საქმიანობის განხორციელების ფაქტს. 2017 წლის სექტემბრიდან აღნიშნული თანამდებობრივი პოზიცია გაუქმდა, ხოლო ფედერაციის პრეზიდენტის საქმიანობა, რომელიც ამ დრომდე არ იყო ანაზღაურებადი, მოცემული პერიოდიდან გახდა

⁴ ფედერაციის პრეზიდენტის შვილი.

⁵ მათ შორის, პრემია – 375 ლარი.

ანაზღაურებადი და მისი თანამდებობრივი სარგო განსაზღვრა მონიტორინგის მენეჯერის გაუქმებული საშტატო პოზიციის მიხედვით არსებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

შრომითი ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული კურატორის მიერ შესასრულებელი სამუშაო და შესამოწმებელ პერიოდში არ დასტურდება მის მიერ შრომითი საქმიანობის განხორციელების ფაქტი.

გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად, დასაქმებულებს ევალუოდან დაკისრებული ფუნქციების შესრულება, უფროსის მიერ დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით განსაზღვრული სამუშაო დროის შესაბამისად, ხელმძღვანელობამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები (ინფორმაცია/დოკუმენტაცია) თანამშრომლებზე დაკისრებული ფუნქციებისა და დამტკიცებული სამუშაო გრაფიკის შესახებ.

არსებითი შეუსაბამობებია ცალკეული პოზიციის მიხედვით თანამდებობრივი სარგოს ოდენობებს შორის. მაგალითად, მონიტორინგის მენეჯერის შრომის ანაზღაურება თვეში შეადგენს 1250 ლარს, 2016 წელს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერის ანაზღაურება შეადგენდა 900 ლარს, 2017 წელს – 625 ლარს, ხოლო ფედერაციის გენერალური მდივნის და ვიცე-პრეზიდენტის (რომლებიც ამავე დროს იყვნენ პრეზიდენტის წევრები და წესდებით მათი უფლება-მოვალეობები (პასუხისმგებლობები) ფართო სპექტრს მოიცავდა) – 185 ლარს.

ზემოაღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ხელმძღვანელობის მიერ პერსონალის სამუშაოზე აყვანა ხდება წესდებით გათვალისწინებული მოთხოვნების გვერდის ავლით. კერძოდ, წესდებით, ⁶ ვიცე-პრეზიდენტთან კონსულტაციების საფუძველზე შეთანხმებულ საშტატო განრიგს და აპარატის კადრებს, გენერალური მდივანი დასამტკიცებლად წარუდგენს ფედერაციის პრეზიდენტს, ხოლო მუშაკთა სამსახურებრივი დატვირთვა უნდა განსაზღვრულიყო ფედერაციის შინაგანაწესით. შესამოწმებელ პერიოდში გენმდივნის მხრიდან აღნიშნული საკითხის ინიცირება და შესაბამისად, პრეზიდენტზე მისი განხილვა არ განხორციელებულა. ფაქტობრივად, ფედერაციის პრეზიდენტი პერსონალის სამუშაოზე აყვანისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის პროცედურებს წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილების გადამეტებით ახორციელებდა. ამასთანავე, არ იყო შემუშავებული და სამოქმედოდ შემოღებული შინაგანაწესი, რომელიც ფორმალიზაციის დონეზე მაინც განსაზღვრავდა შრომითი საქმიანობის გარკვეული პროცესების კონტროლის საშუალებებს.

⁶ მე-5 მუხლის 5.15, 5.18 პუნქტები და მე-7 მუხლის 7.4 პუნქტი.

აუდირებულ პერიოდში მონიტორინგის მენეჯერზე გაცემულია მსაჯობის მომსახურების ღირებულება 4,560 ლარის ოდენობით, ხოლო ბუღალტერზე – 3,040 ლარი. შესაბამისი კვალიფიკაციისა და მათ მიერ მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი. მათ მიერ მსაჯობის მომსახურების გაწევის ფაქტი არ დასტურდება ასევე მუნიციპალიტეტებში განხორციელებული რამდენიმე დღიანი ტურნირებისა და შეჯიბრებების დროს მომსახურე სასტუმროების მიერ გაცემული დოკუმენტებით⁷ და ღონისძიებების დროს მიმდინარე პროცესების ვიდეოგადაღებებით. აღნიშნულ პირებზე იმ მომსახურების სანაცვლოდ, რომლის განხორციელების ფაქტი არ დასტურდება, გაცემულია ჯამში 7600 ლარი.

2016-2017 წლებში ჩატარებული შეჯიბრებების და ტურნირების დროს მსაჯებზე გაცემულმა მომსახურების ღირებულებამ სულ შეადგინა 55,160 ლარი. მსაჯების⁸ ტურნირებში ფაქტობრივად მონაწილეობისა და ღონისძიებებზე მსაჯთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრის შესახებ მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი. 11 შემთხვევაში, 2017 წელს ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გამართული ერთდღიანი ღონისძიებების ფარგლებში, მომსახურე მსაჯებისათვის (3 პირი) ანაზღაურებულია ორი დღის მომსახურების თანხა, ნაცვლად ერთი დღისა. *შედეგად, 2017 წელს ზედმეტად გაცემულია სულ 900 ლარი.*

„საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში“ ღონისძიების ფარგლებში ორგანიზატორის მომსახურების ანაზღაურების სახით 2016 წლის დეკემბერში ფედერაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერზე გაცემულია 1,000 ლარი, ფედერაციის პრეზიდენტზე 2017 წლის დეკემბერში კი – 3,000 ლარი. აღნიშნული ღონისძიების ორგანიზება არის ფედერაციის საწესდებო ვალდებულება, ხოლო ღონისძიების დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად, ფედერაცია მას ახორციელებს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად. აქედან გამომდინარე, მოცემული საწესდებო ვალდებულების შესრულებისთვის (რომელიც ანაზღაურდება ხელფასის სახით) დამატებითი ფულადი „კომპენსაცია“ კანონშეუსაბამო ხარჯია.

დასკვნა

ფედერაციის პრეზიდენტის მიერ პერსონალის შერჩევა, სამუშაოზე აყვანა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრა ხორციელდება საწესდებო მოთხოვნის შეუსაბამოდ, უფლებამოსილების გადამეტებით და არ არის გათვალისწინებული

⁷ დამისთვის დამადასტურებელი.

⁸ მთავარი მსაჯის გარდა.

მოცემულ პროცესში გენერალური მდივნის და პრეზიდუმის საწესდებო როლი (კომპეტენცია);

ფედერაციის მიერ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები არ არის შედგენილი შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, კერძოდ, მათში არ არის გათვალისწინებული ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა, შესასრულებელი სამუშაო და სამუშაო აღწერილობები პოზიციების მიხედვით. ეს უკანასკნელი ფედერაციის სხვა ოფიციალური დოკუმენტებითაც არაა განსაზღვრული. შესაბამისად, გაურკვეველია, რა სამუშაოს ასრულებს კონკრეტული დასაქმებული პირი, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიური და არაპროდუქტიული განკარგვის რისკებს;

გარკვეულ შემთხვევებში დასაქმებულ პირებთან დადებული შრომითი, ხოლო მონიტორინგის მენეჯერთან და ბუღალტერთან გაფორმებული მსაჯობის მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებები ატარებს ფიქტიური გარიგების ნიშნებს, რაც, თავის მხრივ, ზრდის თაღლითობის რისკებს;

სახელფასო პოლიტიკა ხასიათდება ცალკეული პოზიციის მიხედვით თანამდებობრივ სარგოებს შორის არსებითად შეუსაბამო, არასამართლიანი დიფერენციაციით, ის არ არის დამოკიდებული შესასრულებელი სამუშაოს სახეზე, ინტენსივობასა და დასაქმებულის კვალიფიკაციაზე.

რეკომენდაცია

სამინისტროს

ფედერაციასთან შეთანხმებული პირობებით შემუშავებულ იქნეს ისეთი საკადრო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს საწესდებო საქმიანობის რელევანტური, ოპტიმალური და სამართლიანი საშტატო განრიგის ფორმირებას, სამუშაოზე აყვანის პროცესის გამჭვირვალობას და მოცემულ სფეროში მართვის დემოკრატიული პრინციპის (პრეზიდუმის, გენერალური მდივნის და პრეზიდენტის უფლებამოსილების გამიჯვნა) დაცვაზე ზედამხედველობის გზით საჯარო უფლებამოსილების განხორციელების გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია

ფედერაციას

დასაქმებული პირის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოების სახე ან კონკრეტული თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით შემუშავდეს სამუშაო აღწერილობები.

რეკომენდაცია

ფედერაციას

სპორტული ღონისძიების მასშტაბის, მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობისა და სხვა რელევანტური კრიტერიუმების გათვალისწინებით განსაზღვრულ იქნეს მსაჯთა ოპტიმალური რაოდენობის და მათი კვალიფიკაციის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, რაც უზრუნველყოფს ღონისძიების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას და ამ მიზნით საბიუჯეტო სახსრების ოპტიმალურ და ეფექტიან ხარჯვას.

2.2 შესყიდვები

2.2 ბაზრის კვლევა

ქართული ჭიდაობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს ა(ა)იპ – ქართული ჭიდაობის ფედერაცია სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. მოცემული საჯარო ინტერესის რეალიზაციის პრობლემაში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიურობის და ეფექტიანობის პრინციპებს. ამ პრინციპების დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში განხორციელებული, ასევე ცალკეული სპორტული ინვენტარის შესყიდვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ბაზრის გამოკვლევის შედეგები.⁹

ფედერაციის მიერ საქონლის და მომსახურების შესყიდვის პროცესში ეკონომიურობის და ეფექტიანობის პრინციპების დაცვის მიზნით არ განხორციელებულა ბაზრის კვლევა, შესაბამისად, კონკრეტული მიმწოდებლის შერჩევა არ ეფუძნება რაციონალურ დასაბუთებას. მაგალითად:

საჭიდაო ჩოხები

საქართველოში ქართული ჭიდაობის განვითარების, პოპულარიზაციის, ქართული ჭიდაობის სასწავლო-საწვრთნელო პროცესების სრულყოფილად წარმართვისა და საქართველოს რაიონებში მოქმედი ქართული ჭიდაობის სექციებში მომუშავე მწვრთნელ-

⁹ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანების მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი.

მასწავლებლებისათვის საჭიდაო ჩოხებისა და საჭიდაო ტრუსების შესყიდვის მიზნით ფედერაციასა და ი/მ შურა მიქელაძეს შორის 2017 წლის 16 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ბაზრის კვლევის განხორციელების გარეშე, წინასწარი ანგარიშსწორებით 2017 წლის 19 სექტემბერს შესყიდულია 9100 ლარის ღირებულების 130 კომპლექტი (ჩოხა, შორტი და ქამარი) ქართული ჭიდაობის ჩოხა. ხელშეკრულების შესაბამისად, ერთ ცალ კომპლექტში გადახდილია 70 ლარი, მაშინ როცა, 2017 წლის 3 მაისს საქართველოს სპორტის სამინისტროსა და შპს „სპორტი+“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების¹⁰ ფარგლებში, სამინისტროს მიერ შესყიდული¹¹ ქართული ჭიდაობის ჩოხების ერთ კომპლექტში გადახდილია 45 ლარი. 2017 წლის ბოლოს, სამინისტროს ბალანსგარეშე ანგარიშზე ნაშთად ირიცხებოდა 60 კომპლექტი ჩოხა, შესაბამისად, ამ საკითხში სამინისტროსთან კოორდინაციით ფედერაციის მიერ მოთხოვნილი 130 კომპლექტის ნაცვლად საჭირო იქნებოდა მხოლოდ 70 კომპლექტის შესყიდვა. ქართული ჭიდაობის ჩოხების შესყიდვას და სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაზე უსასყიდლოდ გადაცემას ფედერაციასთან კოორდინაციის გარეშე აწარმოებდა ასევე სპორტის სამინისტრო. კერძოდ, 2016-2017 წლებში სამინისტროდან სხვადასხვა მუნიციპალიტეტებზე გადაცემულია სულ 199 კომპლექტი, 10,945 ლარის ღირებულების ქართული ჭიდაობის ჩოხა.¹²

ბინის შესყიდვა

2016 წლის 16-17 დეკემბერს ქ. თბილისში გასამართი „ქართულ ჭიდაობაში საქართველოს აბსოლუტური ღია ფალავნობა 2016-ის“ დაფინანსების მიზნით, ფედერაციის 2016 წლის 3 ნოემბრის¹³ წერილისა და ღონისძიების დაფინანსების ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე ფედერაციასა და სამინისტროს შორის 2016 წლის 8 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების¹⁴ შესაბამისად, ფალავნობის პირველ ადგილზე გასულ სპორტსმენზე გადასაცემი ბინის ღირებულებამ შეადგინა 68,650 ლარი.¹⁵

2016 წლის 15 ნოემბერს ფედერაციასა და სამშენებლო კომპანია შპს „ფალავანს“¹⁶ შორის (რომელიც რეგისტრირებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე 5 თვით ადრე) გაფორმებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე 2016 წლის 15 ნოემბერს „ფალავნობა 2016-ის“ გამარჯვებულზე ბინის გადაცემის მიზნით, შპს „ფალავანს“ გადაერიცხა 54.920 ლარი.¹⁷ აღნიშნული ხელშეკრულებისა და მასზე

¹⁰ N 61

¹¹ სულ შესყიდულ იქნა 50 კომპლექტი, 2250 ლარის ღირებულების ჩოხები.

¹² სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

¹³ N 167

¹⁴ N2153 ს/თ

¹⁵ კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

¹⁶ რომლის დამფუძნებლები და მესაკუთრეები არიან ფედერაციის პრეზიდენტის შვილები.

¹⁷ საშემოსავლო გადასახადის გარეშე.

თანდართული 2017 წლის 4 აპრილს გაფორმებული ურთიერთშეთანხმების შესაბამისად, ფალავნობა 2016-ში გამარჯვებულ გიორგი კაციაშვილს 2018 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში საკუთრებაში უნდა გადასცემოდა ქ. თბილისში ვაზისუბნის დასახლებაში კომპანიის მიერ მშენებარე საცხოვრებელ სახლში არსებული 50 კვ.მ საცხოვრებელი ბინა ე.წ. „შავი კარკასის“ მდგომარეობაში. ფედერაციის მიერ შესასყიდი უძრავი ქონების ოპტიმალური საბაზრო ფასის და მიწოდების პირობების დადგენის მიზნით ბაზრის კვლევა არ განხორციელებულა. მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ინტერესთა კონფლიქტს, რაც გამოვლინდა შემდეგში: გამყიდველი (შპს „ფალავანი“) და მყიდველი (ფედერაცია) – დაკავშირებული მხარეები, არიან ფედერაციის პრეზიდენტის ახლო ნათესავები (შვილები), რომლებიც შრომით ურთიერთობაში არიან ფედერაციასთან, ამავდროულად წარმოადგენენ შპს „ფალავანის“ დამფუძნებლებს. ამის გამო მათი ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა და ჩამოყალიბდა მხოლოდ გამყიდველის ინტერესად, რამაც საბოლოო ჯამში გარიგება გამოიყვანა ნორმალური საბაზრო, სამეურნეო პირობებიდან, რაც გამოვლინდა შემდეგში:

ფედერაციის მხრიდან გარიგების პირობებზე შეთანხმების დროს არ იყო გათვალისწინებული მშენებლობის დასრულებასთან და მის შესაძლო უფლებრივ (იპოთეკა, გირავნობა) დატვირთვასთან დაკავშირებული რისკები და აქედან გამომდინარე, ფასის შემცირების შესაძლებლობა;

ანგარიშსწორება განხორციელდა წინასწარ, ხელშეკრულებით საცხოვრებელი ბინის გადაცემამდე 2 წლით ადრე, 2016 წლის 15 ნოემბერს, 1 კვ.მ-ის ფასი („შავი კარკასის“ მდგომარეობით) – 1098 ლარი. ამ მომენტისთვის კომპანიის მიერ გაცხადებული ფასი იყო 1050 ლარი (ანგარიშსწორების ფასზე 48 ლარით ნაკლები), რომელიც 2 წლის განმავლობაში თითქმის არ შეცვლილა. ფედერაციის მიერ ფასზე შეთანხმების დროს არ იყო გათვალისწინებული და გამოყენებული წინასწარი გადახდის შემთხვევაში ფასდათმობის შესაძლებლობა. უფრო მეტიც, გადახდის მომენტისათვის, როდესაც არ იყო დაზღვეული მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებული რისკები, 1 კვ.მ საცხოვრებელი ფართის („შავი კარკასის“ მდგომარეობით) შეთანხმებული და ანაზღაურებული ღირებულება უფრო მაღალი იყო, ვიდრე 2 წლის შემდეგ, 2018 წლის სექტემბერში, მშენებლობის დასრულების მომენტისათვის კომპანიის მიერ გაცხადებული ფასი. ე.ი. 2 წლის განმავლობაში გაცხადებული ფასის უცვლელობის პირობებში, ფედერაციამ წინასწარ, 2 წლით ადრე ანგარიშსწორება განახორციელა აღნიშნულზე მაღალი ფასით. შესაბამისად, მოცემული *ოპერაცია თავისი შინაარსით არის სარგებლის გარეშე* (ზარალით), *კერძო სამეწარმეო სუბიექტის დაკრედიტების ოპერაცია, რომლის წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები წარმოადგენს*. საჯარო რეესტრის ამონაწერის

მიხედვით, 2018 წლის ნოემბერში აღნიშნული საცხოვრებელი ბინა საკუთრების უფლებით გადაეცა ფალავნობაში გამარჯვებულ გიორგი კაციაშვილს.

სატრანსპორტო მომსახურება

საბანკო ანგარიშის ამონაწერების შესაბამისად, 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტებში ჩატარებული ქართული ჭიდაობის შეჯიბრებებსა და ტურნირებზე სატრანსპორტო მომსახურების სახით სხვადასხვა ფიზიკურ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე სულ გაცემულია 32,338 ლარი¹⁸. აქედან, პრეზიდენტის ახლო ნათესავზე – (შვილი) 28,987 ლარი. თითოეული ტურნირის ხარჯები მუნიციპალიტეტების მიხედვით განსხვავებულია და მერყეობს 200-დან 900 ლარამდე.

ხელშეკრულებების შესაბამისად განსაზღვრული სატრანსპორტო მომსახურების ტარიფების დადგენისა და გაანგარიშების დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, გაურკვეველია რა მეთოდებით, რა მონაცემების გათვალისწინებით და რა პარამეტრებზე დაყრდნობით ხდებოდა რეგიონების მიხედვით სატრანსპორტო მომსახურების თანხების დადგენა. მაგალითად:

ცხრილი N4. სატრანსპორტო მომსახურება

ტურნირის დასახელება	მარშრუტი	ტრანსპორტირების ხარჯი		სხვაობა
		2016 წელი	2017 წელი	
ლერი ნაკანის სახელობის ტურნირი	თბილისი-მესტია	900	700	200
ზონალური პირადი პირველობა	თბილისი -ზესტაფონი	600	500	100
ზონალური პირადი პირველობა	თბილისი- წყალტუბო	500	700	200

2017 წლის დეკემბერში ფალავნობაში, ქართულ ჭიდაობაში ჩასატარებელი ღონისძიების ფარგლებში, საჭიდაო ლეიბების (რომლის რაიმე სახით ფლობის შესახებ მტკიცებულებები არ არის წარმოდგენილი) ტრანსპორტირების ხარჯმა, ჭავჭავაძის გამზირიდან ამერიკის საელჩომდე და პირიქით, ამერიკის საელჩოდან ჭავჭავაძის გამზირამდე (20 კმ) შეადგინა 1,500 ლარი. აღნიშნულ მომსახურებაზე შედგენილ

¹⁸ საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

ხელშეკრულებასა და მიღება-ჩაბარების აქტში¹⁹ შესასრულებელი რეისების რაოდენობა და გადაზიდული ტვირთის მოცულობები მითითებული არ არის.

2016-2017 წლებში მივლინებებზე ტრანსპორტირების სახით²⁰ გაწეული 900 ლარის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები²¹ ვერ იქნა წარმოდგენილი.

დასკვნა

ფედერაციის მიერ არ ხდება განსახორციელებელი სპორტული ღონისძიებების ფარგლებში შესასყიდი საქონლის და მომსახურების ოპტიმალური ფასის, ტექნიკური პარამეტრების და მიწოდების პირობების დადგენის მიზნით ბაზრის კვლევა, რის გარეშეც მიმწოდებელთან (ზოგიერთ შემთხვევაში დაკავშირებულ მხარესთან) გაფორმებული კონტრაქტები ზრდის საბაზრო პირობებისადმი არაადეკვატური ფასის და მიწოდების პირობების ჩამოყალიბების რისკებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიურ და არაეფექტიან ხარჯვას.

ინტერესთა კონფლიქტის არსებობამ გავლენა მოახდინა ფედერაციის მიერ შპს „ფალავანთან“ დადებული გარიგების პირობებზე და გამოიწვია საბიუჯეტო სახსრების არარაციონალური, არაეკონომიური ხარჯვა.

რეკომენდაცია

სამინისტროს

შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დაფინანსების მოთხოვნის ეტაპზე ფედერაციის მხრიდან წარმოდგენილი ღონისძიებების და მისი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და მოცემული ღონისძიებების ფარგლებში საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების ეკონომიური, მიზნობრივი და კანონშესაბამისი ხარჯვის მონიტორინგს.

ფედერაციას

საბაზრო პირობებისადმი ადეკვატური ხარისხის და ფასის მქონე საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, კონკრეტული შესყიდვის წინ განხორციელდეს ბაზრის გამოკვლევა. ბაზრის კვლევის შედეგებში აღინიშნოს კრიტერიუმები და ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა მიხედვით მოხდა კონკრეტული მიმწოდებელის შერჩევა.

¹⁹ თარიღების გარეშე.

²⁰ ორ შემთხვევაში.

²¹ საბანკო ამონაწერების შესაბამისად.

2.3 რეგიონებში განხორციელებული სახელობითი ტურნირების დაფინანსების დუბლირება

სამინისტროს მიერ ფედერაციის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ღონისძიებების დაფინანსება ხორციელდება სამინისტროს მხრიდან სახსრების მიზნობრივი სუბსიდირების გზით. ფედერაცია იმ თანხის იდენტურ თანხას, რომელზეც სამინისტროში არ აქვს წარდგენილი კონკრეტული სპორტული ღონისძიების მიხედვით ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აბრუნებს სახლმწიფო ბიუჯეტში.²²

რეგიონებში გასამართი სახელობითი შეჯიბრებებისა და ტურნირების ორგანიზება მუნიციპალიტეტების მიერ დაფინანსებულია 15,800 ლარით, ხოლო იგივე ღონისძიებები ფედერაციის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე, სამინისტროს მიერ დაფინანსებულია 21,345 ლარით. სულ დაფინანსების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 37,145 ლარი. გამოყოფილი თანხებიდან მიზნობრივად გახარჯულ იქნა მხოლოდ 23,860 ლარი, ხოლო 13,285 ლარი გახარჯულია არამიზნობრივად იმ აქტივობების დასაფინანსებლად, რომელიც ხარჯთაღრიცხვებით არ იყო გათვალისწინებული; (მივლინება, პირადი სარგებლობის სატრანსპორტო საშუალების შეკეთება, საბურავების შეცვლა, პრემია და ა.შ.) აქედან სპორტული ღონისძიება, რომლის განხორციელების მიზნით ა(ა)იპ – გურჯაანის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების მიერ გამოიყო 3,000 ლარი, საერთოდ არ განხორციელებულა.

ცხრილი N2. მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ღონისძიებები

ღონისძიების დასახელება	ღონისძიების ჩატარების თარიღი	მიღებული დაფინანსება			მიზნობრივად გახარჯული	არამიზნობრივი გადახდა
		სამინისტრო	მუნიციპალ იტეტი	სულ		
დუშეთი – ზ. სიღამონიძის სახ. ტურნირი	05.06.2016	3500	2000	5500	3450	2050

²² საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანების მე-7 მუხლი.

დედოფლისწყარო – ბ. მაზიაშვილის სახ. ტურნირი	02.08.2016	4860	3000	7860	5785	2075
თიანეთი – თ.არაბულის სახ. ტურნირი	07.08.2016	2985	2000	4985	3913	1072
დედოფლისწყარო – ბ. მაზიაშვილის სახ. ტურნირი	01.08.2017	4000	3000	7000	4584	2416
თიანეთი – თ.არაბულის სახ. ტურნირი	10.08.2017	3000	1300	4300	3128	1172
დუშეთი – ზ. სიდიამონიძის სახ. ტურნირი	04.07.2017	3000	1500	4500	3000	1500
გურჯაანი – სპორტული ღონისძიებები	22.08.2017		3000	3000		3000
სულ:		21345	15800	37145	23860	13285

წესდების შესაბამისად ²³ „ფედერაციის შემოსავლები უნდა მოხმარდეს ფედერაციის საწესდებო მიზნების განხორციელებას და არ დაიშვება მისი წევრთა შორის განაწილება“.

დასკვნა

სახელობითი ტურნირების ორგანიზების დაფინანსებისათვის გამოყოფილი 13,385 ლარის საბიუჯეტო სახსრები ფედერაციის მიერ გახარჯულია არამიზნობრივად.

²³ მე-13 მუხლის 13.3 პუნქტი.

რეკომენდაცია

სამინისტროს

საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვის უზრუნველსაყოფად შემუშავებულ იქნეს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომელიც კონკრეტული სპორტული ღონისძიებების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მოცულობით და სტრუქტურული შემადგენლობის უცვლელობის პირობებში დაადგენს დაფინანსების წყაროების დუბლირების ფაქტს და უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ თანხების უკან დაბრუნებას.

2.4 ე.წ. „წამახალისებელი ვიქტორინა“

2016 წლის ფალავნობაში ჩასატარებელი ღონისძიების დაფინანსების მიზნით, სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას შორის 2016 წლის 11 მარტს გაფორმებული გრანტის გაცემის შესახებ ხელშეკრულების²⁴ საფუძველზე, სამინისტროში წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად²⁵, 2016 წლის 5 დეკემბერს ფედერაციას ჩაერიცხა 22,300 ლარი. სამინისტროში 2016 წლის დეკემბერში წარდგენილი საავანსო ანგარიშის შესაბამისად,²⁶ გრანტის თანხიდან 2016 წლის 20 დეკემბერს შესყიდულია 4.300 ლარის ღირებულების 12 ცალი მობილური ტელეფონი.

ტელეფონების შესყიდვის მიზნით, ი/მ ნატო ბოჭორიშვილს 4,300 ლარი გადაერიცხა 2016 წლის 16 დეკემბერს. სასაქონლო ზედნადები²⁷ გამოწერილია 2016 წლის 23 დეკემბერს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია 2016 წლის 20 დეკემბერს, ფალავნობის ღონისძიება კი ჩატარდა 2016 წლის 16-17 დეკემბერს და შესაბამისად, ვიქტორინის გამართვა და გამარჯვებულების დაჯილდოება უნდა მომხდარიყო ამავე პერიოდში. ჩამოწერის აქტის შესაბამისად, 4,300 ლარის ღირებულების საჩუქრების გამარჯვებულ მაყურებელზე გადაცემას ხელმოწერებით ადასტურებს ფედერაციის გენერალური მდივანი,²⁸ პირველი ვიცე-პრეზიდენტი²⁹ და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი³⁰, ფედერაციის გენერალური მდივნის და ვიცე-პრეზიდენტის წერილობითი განმარტებებით კი, აღნიშნულ ჩამოწერის აქტზე მათი ხელმოწერები არ არის. მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებებით არ დასტურდება ვიქტორინის ჩატარების ფაქტი. არ არის განსაზღვრული ვიქტორინის თემატიკა და არ არის

²⁴ N63/გ

²⁵ ფედერაციის 2016 წლის 3 ნოემბრის N166 წერილი.

²⁶ წერილი N 307.

²⁷ N0280389453

²⁸ ი. იმერლიშვილი.

²⁹ ო. ყურაშვილი.

³⁰ ნ. ბარბაქაძე.

შემუშავებული მისი გამართვის და გამარჯვებულის გამოვლენის წესი. ჩამოწერის აქტი³¹ არ ხდება ვიქტორინაში გამარჯვებული პირების იდენტიფიცირება და შესაბამისად, არ დასტურდება მათზე ტელეფონის აპარატების გადაცემის ფაქტი.

დასკვნა

მოცემული ხარჯვითი ოპერაცია შეიცავს ფიქტიური ოპერაციის ნიშნებს და ზრდის თაღლითობის რისკებს.

2.5. შიდა კონტროლის არარსებობა

-)/ წესდების შესაბამისად, ³² ფედერაციის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს ყრილობა, რომლის ვალდებულებაა ფედერაციის წლიური ბიუჯეტის, დაფინანსების პრინციპებისა და პრიორიტეტების დამტკიცება და ფინანსური ანგარიშგების განხილვა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, ³³ 2010-2017 წლებში ფედერაციის მიერ ჩატარებულ ყრილობებზე ზემოთ აღნიშნული საკითხები განხილული არ ყოფილა.
-)/ წესდების შესაბამისად, ყრილობებს შორის პერიოდში ფედერაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი, რომელიც იკრიბება საჭიროებისამებრ ³⁴ და გააჩნია ფართო უფლებამოსილებები. ³⁵ აუდირებულ პერიოდში ³⁶ მხოლოდ 3-ჯერ ჩატარდა პრეზიდიუმის სხდომა და მასზე განხილულ იქნა მხოლოდ მწერთნელებისათვის წოდებების მინიჭების საკითხი.
-)/ წესდების შესაბამისად, ³⁷ ფედერაციის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს პრეზიდიუმის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორი. სააუდიტო პერიოდში პრეზიდიუმის მიერ დამოუკიდებელი აუდიტორის მოწვევა და შესაბამისად, საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და ფედერაციის მიერ გახარჯული თანხების მიზნობრიობისა და კანონიერების შემოწმება არ განხორციელებულა.
-)/ შეჯიბრებების და ტურნირების ღონისძიებების ჩატარებაზე ფედერაციის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებებით ანგარიშვალდებულ პირად დანიშნულია და ღონისძიებების დამთავრებიდან ერთი კვირის განმავლობაში

³¹ ნომრისა და თარიღის გარეშე.

³² მე-5 მუხლის 5.8 პუნქტი.

³³ ფედერაციის მიერ ჩატარებული ყრილობის ოქმები.

³⁴ წინა, 2010 წლამდე არსებული წესდებით პრეზიდიუმის ჩატარება განსაზღვრული იყო საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ.

³⁵ ფედერაციის ძირითადი მიმართულებების არჩევა, საშტატო განრიგის დამტკიცება, კომისიების წევრების არჩევა და კომისიის დებულების დამტკიცება და სხვ.

³⁶ წარმოდგენილი ოქმების შესაბამისად.

³⁷ საბოლოო 2010 წლის ვარიანტის მე-9 მუხლი.

ფინანსური და ტექნიკური ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულება აქვს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს.³⁸ შესაბამისად, კონკრეტულ ღონისძიებებზე გამარჯვებულ სპორტსმენებზე გადასაცემი ფასიანი საჩუქრების და დიპლომების ჩამოწერის აქტებსა და ღონისძიების მთლიან ხარჯებზე შედგენილ საავანსო ანგარიშებზე ხელს აწერს და მის მართებულობას ადასტურებს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის სიტყვიერი განმარტებით, ანგარიშვალდებულ პირად მისი დანიშვნის შესახებ მისთვის ცნობილი არ იყო და შესაბამისად, ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტებზე მისი ხელმოწერები არ არის.

-)/ 2017 წლის 1 ივლისამდე პერიოდში შეჯიბრებების და ტურნირების ღონისძიებების ჩატარებაზე შედგენილ დებულებებსა და გამარჯვებულ სპორტსმენებზე გადასაცემი ფასიანი საჩუქრების მიღებისა და ჩამოწერის აქტებზე ფიქსირდება ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივნის, იური იმერლიშვილის ხელმოწერები, მაშინ როცა, ფედერაციის პრეზიდენტის 2017 წლის 10 იანვრის N1 ბრძანებისა და 2017 წლის 1 იანვრის შრომითი ხელშეკრულების შესაბამისად, ფედერაციის გენერალური მდივნის მოვალეობა 2017 წლის 1 იანვრიდან დაკისრებული ჰქონდა სულ სხვა პირს.³⁹
-)/ 2017 წლის 24-26 მარტს ახალციხეში ჩატარებული საქართველოს პირადი პირველობის ფინალურ შეხვედრაზე გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცათ 3,000 ლარის ღირებულების სპორტული საქონელი. ჩამოწერის აქტის⁴⁰ შესაბამისად, აღნიშნული საჩუქრების გამარჯვებულ სპორტსმენებზე გადაცემას ხელმოწერებით ადასტურებენ ფედერაციის გენერალური მდივანი,⁴¹ პირველი ვიცე-პრეზიდენტი⁴² და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი.⁴³ გენერალური მდივნის და პირველი ვიცე-პრეზიდენტის წერილობითი განმარტებებით, აღნიშნულ ჩამოწერის აქტზე მათი ხელმოწერები არ არის.
-)/ ფედერაციაში არ წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვა და არცერთ საანგარიშგებო პერიოდზე არ მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება. წესდების შესაბამისად,⁴⁴ ფედერაცია წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც უნდა აწარმოებდეს ბუღალტრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას და შესაბამისად, უნდა

³⁸ ოთარ ყურაშვილი.

³⁹ მირიან გონჯილაშვილს.

⁴⁰ თარიღისა და ნომრის გარეშე.

⁴¹ ი. იმერლიშვილი.

⁴² ო. ყურაშვილი.

⁴³ ლ. კენჭაძე.

⁴⁴ პირველი მუხლის მე-16 პუნქტი.

მომზადდეს დამოუკიდებელი ბალანსი. 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში საერთოდ გაუქმდა ბუღალტრის საშტატო პოზიცია. მატერიალურ ფასეულობათა ფაქტიური ნაშთების დადგენის მიზნით, არ განხორციელებულა მათი ინვენტარიზაცია; აბსოლუტური ფალავნობის ღია ჩემპიონატის ორგანიზების მიზნით, 2016-2017 წლებში შესყიდული 3,940 ლარის ღირებულების მატერიალურ ფასეულობათა (ბანერი, სტენდი, პოდიუმის კიბე) არსებობა განხორციელებული აუდიტორული პროცედურებით არ დასტურდება.

-) გაწეულ მომსახურებაზე შედგენილი პირველადი დოკუმენტები გაფორმებულია არასრულყოფილად, კერძოდ: სხვადასხვა ფიზიკურ პირთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები წარმოდგენილია თარიღების გარეშე და ღონისძიებების ჩატარების პერიოდებთან შეუსაბამოდ.
-) ფალავნებსა და მომსახურე მსაჯებზე საპრიზო თანხების გადაცემის მიზნით, 2016 წლის დეკემბერში ბანკიდან ნაღდი სახით გამოტანილია 10,572 ლარი. სამინისტროში 2016 წლის 16 დეკემბერს წარდგენილი ფალავნობის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად აღნიშნული ხარჯების გაწევა გათვალისწინებული არ იყო. ანგარიშსწორების წესის ⁴⁵ შესაბამისად, ფედერაციებს ანგარიშსწორება შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების გზით, ხოლო ობიექტური მიზეზების გამო, უნაღდო ანგარიშსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნაღდი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს გამონაკლისის წესით, რის შესახებაც შესაბამისი დასაბუთება ფედერაციის მიერ სამინისტროში წარდგენილი უნდა იყოს წინასწარი დაფინანსების მოთხოვნის ეტაპზე ან ანგარიშის წარდგენის დროს, რაც არ განხორციელებულა. მიღებული თანხებიდან – 4,800 ლარი ამავე თვეში დაბრუნებულია უკან, 5,000 ლარზე წარმოდგენილია უწყისი ნაღდი ანგარიშსწორებით 20 ვეტერან სპორტსმენზე (ფალავანზე) ფულადი პრემიის გაცემის შესახებ, ხოლო 760 ლარის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები ვერ იქნა წარმოდგენილი.
-) მომწოდებლებზე წინასწარი ანგარიშსწორება ხორციელდება ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმების გათვალისწინების გარეშე.

⁴⁵ მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

დასკვნა:

ფედერაციაში შიდა კონტროლის სისტემა არ არსებობს. ყრილობას, პრეზიდიუმს და პრეზიდენტს შორის არ არის გამიჯნული უფლება-მოვალეობები. პრეზიდიუმში არ ასრულებს წესდებით განსაზღვრულ ფუნქციებს და მისი არსებობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ზოგადად არაეფექტიანი კონტროლის გარეშე და ცალკეული კონტროლის პროცედურების გვერდის ავლა, ერთობლიობაში იწვევს ხარჯვითი ოპერაციის ამსახველი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტებით მანიპულირების შესაძლებლობას და ზრდის ხელმძღვანელობის მხრიდან თაღლითობის ჩადენის რისკებს.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ხელმოწერა

თარიღი

სახელი, გვარი

მურმან დარაბელოძე


წამყვანი აუდიტორი



18.12.2018წ.

გიორგი გოგოლიძე

აუდიტორ - ასისტენტი



18/12/2018

